



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ი



KA000011642281518

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 5

06 / მარტი / 2018 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, რუსთაველის ქუჩა N56-ში მდებარე შენობის I სართულზე 162,9 კვ.მ. არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 პუნქტის, „მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანკარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შეთავაზებისა და ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-სათვის ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული რუსთაველის ქუჩა N56-ში მდებარე შენობის I სართულზე 162,9 კვ.მ. არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა. საკადასტრო კოდი: 50.04.43.112.


დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით ვასაყემი ობიექტის სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასური- 6800,0 ლარის ოდენობით:

სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.

განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი



რამაზ ზადაკაშვილი

